საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№349 2017 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „გაბუნია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 2017 წლის 19 სექტემბერს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 11 889 (თერთმეტი ათას რვაას ოთხმოცდაცხრა) ევროს ეკვივალენტი ლარი.

გიორგი კვირიკაშვილი